

**საქართველოს მთავრობის  
დადგენილება  
N45 2006 წლის 24 თებერვალი ქ. თბილისი**

**საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების გექნიკური რეგლამენტების  
აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ**

“პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 31-ე მუხლის საფუძველზე:

1. აღიარებულ იქნეს გექნიკურ რეგლამენტად და საქარ-თვე-ლოში მოქმედი სხვა გექნიკური რეგლამენტების პარა-ლელურად სრულუფლებიანად იქნეს გამოყენებული ევროკავ-შირის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი და საქართველოს სავაჭრო ძირითადი პარტნიორი ქვეყნების (დანართი N1) პროდუქციისა და მომსახურების სფეროში მოქმედი გექნიკური რეგულირების შემდეგი დოკუმენტების მხოლოდ ის ნაწილები და მოთხოვნები, რომლებიც ეხება პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფ მახასიათებლებს და მიჩნეულია სავალდებულოდ, კერძოდ:

ა) “ევროსაბჭოს ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივები” (The New Approach and the Global Approach Directives), მათთან ჰარმონიზებული ევროპული ნორმები და გექნიკური რეგულირების საერთაშორისო ნორმატიული აქტები და დოკუმენტები;

ბ) N1 დანართში მითითებული ქვეყნების გექნიკური რეგულირების სფეროში მოქმედი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ პროდუქციის მახასიათებლებს ან მასთან დაკავშირებულ პროცესებს და წარმოების მეთოდებს შესაბამისი აღმინისგრაფიული დებულებების ჩათვლით, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ამ ქვეყნებში.

2. პირველი პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების პარალელურად გაგრძელდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან და მის წევრ სახელმწიფოებთან უკვე დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე გექნიკური რეგულირების სფეროში დღეს მოქმედი დოკუმენტების (“გოსტები”, სამშენებლო ნორმები და წესები, სანიტარიული წესები და ნორმები და სხვ.) სრულუფლებიანი მოქმედება.

3. გარდამავალ ეტაპზე კონკრეტული პროდუქციის მიმართ შესაძლებელია მოქმედებდეს საქართველოში აღიარებული სხვადასხვა ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის რამდენიმე ალტერნატიული გექნიკური რეგლამენტი. დასაშვებია სხვადასხვა მოქმედი ნორმებიდან სულ მცირე ერთ-ერთი მოთხოვნის შესაბამისი კონკრეტული პროდუქციის წარმოება და ბრუნვა ისე, რომ აუცილებელი არ არის საქართველოში მოქმედი ან აღიარებული სხვა გექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების დაკმაყოფილება. მწარმოებელს შეუძლია პროდუქციის უსაფრთხოების სავალდებულო მახასიათებლების რაოდენობრივი ნორმები შეარჩიოს პირველი და მე-2 პუნქტებით აღიარებული და საქართველოში მოქმედი სხვა გექნიკური რეგულირების დოკუმენტებიდან.

4. შესაბამისმა სამინისტროებმა და სახელმწიფო დაწესებულებებმა წარუდგინონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს:

ა) საქართველოში მისაღები იმ გექნიკური რეგლამენტების ჩამონათვალი

(შესაბამისი დასაბუთებით), რომელთა მიღებაც განპირობებულია განსაკუთრებული სპეციფიკურო-ბითა და აუცილებლობით და რომელთაც არ ითვალისწინებს ამ დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტები (უმოკლეს ვადაში);

ბ) ტექნიკურ რეგულირებას დასაქვემდებარებელი პრო-დუქციისა და მომსახურების ჯგუფების ნუსხა N2 დანართის მიხედვით, განმარტებით ბარათთან ერთად, რომელშიც დასაბუთებული უნდა იქნეს მოცემული პროდუქციისა და მომსახურების ჯგუფის ტექნიკური რეგულირებისადმი დაქვემდებარების აუცილებლობა შესაბამისი უსაფრთხოების უზრუნველყოფი მახასიათებლების ჩამონათვალით (2 თვეში).

5. სსიპ \_ სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩინოს სათანადო საინფორმაციო-მეთოდური დახმარება.

6. ამ დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დებულებები არ ვრცელდება გლეხურ, ფერმერულ, ოჯახურ და კუსტარულ საქმიანობაზე, ასევე სამკურნალო საშუალებების წარმოებასა და მათ ბრუნვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე.

7. დადგენილების N1 დანართში მოცემული ქვეყნების ნუსხის გადახედვა და განახლება განხორციელდეს წელიწადში ერთხელ მაინც.

8. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

*ზურაბ ნოღაიდელი*

საქართველოს მთავრობის  
2006 წლის 24 თებერვლის  
N45 დადგენილების  
დანართი N1

|    | ქვეყანა   | კოდი |
|----|---|------|
| 1  | ავსტრალია   | 036  |
| 2  | ავსტრიის რესპუბლიკა   | 040  |
| 3  | ახალი ზელანდია  | 554  |
| 4  | ამერიკის შეერთებული შტატები                                 | 840  |
| 5  | ბელგიის სამეფო  | 056  |
| 6  | დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო | 826  |
| 7  | გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა                            | 276  |
| 8  | დანიის სამეფო   | 208  |
| 9  | ესპანეთის სამეფო  | 724  |
| 10 | ესტონეთის რესპუბლიკა  | 233  |
| 11 | ისლანდიის რესპუბლიკა  | 352  |
| 12 | ირლანდია  | 372  |
| 13 | იტალიის რესპუბლიკა  | 380  |
| 14 | იაპონია   | 392  |
| 15 | კვიპროსის რესპუბლიკა  | 196  |
| 16 | კანადა  | 124  |
| 17 | კორეის რესპუბლიკა   | 410  |
| 18 | ლატვიის რესპუბლიკა  | 428  |

|    |                             |     |
|----|-----------------------------|-----|
| 19 | ლიგვის რესპუბლიკა           | 440 |
| 20 | ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო | 442 |
| 21 | მალტის რესპუბლიკა           | 470 |
| 22 | მექსიკის შეერთებული შტატები | 484 |
| 23 | ნიდერლანდის სამეფო          | 528 |
| 24 | ნორვეგიის სამეფო            | 578 |
| 25 | პოლონეთის რესპუბლიკა        | 616 |
| 26 | პორტუგალიის რესპუბლიკა      | 620 |
| 27 | საბერძნეთის რესპუბლიკა      | 300 |
| 28 | საფრანგეთის რესპუბლიკა      | 250 |
| 29 | სლოვაკეთის რესპუბლიკა       | 703 |
| 30 | სლოვენის რესპუბლიკა         | 705 |
| 31 | უნგრეთის რესპუბლიკა         | 348 |
| 32 | ჩეხეთის რესპუბლიკა          | 203 |
| 33 | ფინეთის რესპუბლიკა          | 246 |
| 34 | შვედეთის სამეფო             | 752 |
| 35 | შვეიცარიის კონფედერაცია     | 756 |
| 36 | ისრაელის სახელმწიფო         | 376 |

საქართველოს მთავრობის  
2006 წლის 24 თებერვლის  
N45 დადგენილების  
დანართი N2

| სეკ (CPA) | სესსნ | პროლექციის, მომსახურების ჯგუფი | უსაფრთხოების მახასიათებლების ჩამონათვალი (რაოდენობრივი მაჩვენებლების გარეშე) |
|-----------|-------|--------------------------------|--|
|           |       |                                |  |
|           |       |                                |  |
|           |       |                                |  |
|           |       |                                |  |

სეკ (CPA) \_ საქართველოს ეკონომიკური კლასიფიკატორი

სესსნ \_ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა